

კინგის ქართული ენის ოლიმპიადა - II ტური

IX კლასი

I სავარჯიშო – ტექსტის გააზრება. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ, ან გ (20 ქულა)

- 1) ქართული მწერლობაც ისეთივე ეროვნული და, თუ გნებავთ, ისეთივე სახელმწიფოებრივი ფენომენია, როგორც, მაგალითად, სამეფო დინასტია, ანდა მართლმადიდებელი ეკლესია და ამიტომ, ვინც ქართულ მწერლობას უპირისპირდება, ის ქართულ სახელმწიფოებრიობასა და ქართულ ეროვნულ შეგნებას უპირისპირდება ფარულად.
 - 2) ფარულად კი იმიტომ, ამის გაცხადება, საუკუნეების მანძილზე გაწეული შრომის, დახარჯული ფულის, გაზიდული ძვირფასეულობის, მოშლილი ტრადიციების, განადგურებული მეურნეობის, შერყეული რწმენის და კიდევ მრავალი ანტიქართული მექანიზმის გამომჟღავნებაცაა.
 - 3) სიმართლის წარმოჩენა, თავისთავად ცხადია, სრულებითაც არ აძლევს ხელს ჩვენს ისტორიულ მტრებს, ანუ, ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებების გამტარებლებს.
 - 4) თავისუფლად შეიძლება ითქვას, არაადამიანური სისასტიკითა და არანორმალური მიზანდასახულობით... მათ წისქვილს უკეთესად ასხამს წყალს ჩვენი სიბეცე, მიუხვედრელობა, ანუ, ხანგრძლივ და უიმედო მონობაში გამომუშავებული და მის თვისებად ქცეული ჟინი, მტრის სამსახური.
 - 5) ჩვენთვის თანაბრად სახიფათოა, სულელ მოყვარეს დავუჯერებთ თუ ჭკვიან მტერს, თითქოს დღეს იწყებოდეს ქართული მწერლობა და ჩვენს გამოჩენამდე ერთ-ერთ უძველეს და უმდიდრეს ლიტერატურულ ქვეყანაში, როგორც მრავლის მოწმე და მრავლის გამტანი საქართველოა, ამ თვალსაზრისით სრული სიბეცე და სიცარიელე სუფევდა.
1. რა არის პირველი აბზაცის მთავარი სათქმელი?
 - ა) საუბარი ქართული მწერლობის რელიგიასთან დაპირისპირებაზე;
 - ბ) ქართული მწერლობა ეროვნული სახელმწიფოებრივი ფენომენია;
 - გ) ქართული მწერლობა სამეფო დინასტიას ჰგავს;
 2. რასთან არის გაიგივებული 1–ლი აბზაცის მიხედვით ქართული მწერლობა?
 - ა) სამეფო დინასტიასა და მართლმადიდებელ ეკლესიასთან;
 - ბ) ეროვნულ თვითშეგნებასთან;
 - გ) სახელმწიფოსთან;
 3. რა არის მეორე აბზაცის მთავარი სათქმელი?
 - ა) მწერლობა ფარულად საუბრობს;
 - ბ) მწერლობა ფარულად ჩვენი ქვეყნის წარსულის გამომჟღავნებაა;
 - გ) ჩვენი შრომის გამოჟღავნებაა;
 4. მესამე აბზაცის მიხედვით ვის არ აძლევს ხელს სიმართლის წარმოჩენა?
 - ა) მტრებს ბ) მოყვარეს გ) საზოგადოებას
 5. რა აკავშირებს I, II და III აბზაცებს ერთმანეთთან?
 - ა) ამ აბზაცებს საერთო არ აქვთ;
 - ბ) III აბზაცი აბუნდოვნებს I და II აბზაცში გამოთქმულ აზრს;
 - გ) III აბზაცი აგრძელებს I და II აბზაცში გამოთქმულ აზრს;
 6. რამ შეუშალა ხელი ქართული მწერლობის განვითარებას მე–4 აბზაცის მიხედვით?
 - ა) ჩვენმა სიბეცემ, მიუხვედრელობამ, ხანგრძლივმა მონობამ;
 - ბ) ჩვენზე ძლიერის ზეგავლენამ;
 - გ) ჩვენმა უნიათობამ;
 7. რომელია ფრაზეოლოგიზმი მე–4 აბზაცში?
 - ა) მტრის სამსახური ბ) თვისებადქცეული ჟინი გ) წისქვილზე წყლის დასხმა

8. რა არის სახიფათო მე-5 აბზაცის მიხედვით?
- ა) სულელ მოყვარეს ან ჭკვიან მტერს დავუჯეროთ;
 - ბ) წარსულს ყური მივუგდოთ;
 - გ) მომავალს გონიერი თვალთ შევხედოთ;
9. რა არის მე-5 აბზაცის ფუნქცია?
- ა) ისაუბროს წარსულში საქართველოს უდიდეს ლიტერატურულ პოტენციალზე;
 - ბ) ისაუბროს ჩვენი ქვეყნის წარსულზე;
 - გ) ისაუბროს უბრალოდ ქართულ ლიტერატურაზე;
10. რა არის წერილის მთავარი სათქმელი?
- ა) ისაუბროს ზოგად ხელოვნებაზე;
 - ბ) ისაუბროს ქართულ მწერლობასა და მის დანიშნულებაზე;
 - გ) ისაუბროს ლიტერატურაზე, როგორც ხელოვნების დარგზე;

II სავარჯიშო – შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ, ან გ (20 ქულა)

„სტვენით და ღრიალით სცლიდნენ ვეება ტოლჩებს.“

11. რა სახისაა ეს წინადადება აგებულების მიხედვით?
- ა) მარტივი
 - ბ) შერწყმული
 - გ) რთული
12. წინადადების რა წევრია ტოლჩებს?
- ა) ქვემდებარე
 - ბ) უბრალო დამატება
 - გ) პირდაპირი დამატება
13. წინადადების რა წევრია ვეება?
- ა) ქვემდებარე
 - ბ) უბრალო დამატება
 - გ) განსაზღვრება
14. რომელ ბრუნვაში დგას „ვეება ტოლჩებს“?
- ა) სახელობითში
 - ბ) ნათესაობითში
 - გ) მიცემითში
15. რამდენპირიანია ზმნა „სცლიდნენ“?
- ა) ერთპირიანი
 - ბ) ორპირიანი
 - გ) სამპირიანი

III სავარჯიშო – შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ, ან გ (60 ქულა)

16. შემოხაზეთ მართებული ფორმა?
- ა) ჩვენშუა
 - ბ) ჩვენ შუა
 - გ) ჩვენს შუა
17. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით კონტექსტისათვის შესაფერისი სიტყვა:
დათა ყურადღებით უსმენდა მამას და ... იმეორებდა მის ნათქვამს.
- ა) ლამაზად
 - ბ) მცდარად
 - გ) ზუსტად
18. გამჭოლი შეიძლება იყოს :
- ა) ქარი
 - ბ) ამინდი
 - გ) ბედი
19. შემოხაზეთ, რომელ წინადადებაშია დაშვებული მორფოლოგიურ–ორთოგრაფიული შეცდომა?
- ა) ნანამ ტყეში კოდალის ბუდიდან გადმოვარდნილი ბარტყის იპოვა.
 - ბ) სრულყოფილების მიღწევა დიდ გარჯას მოითხოვს.
 - გ) „ვეფხისტყაოსანი“ მე-12 საუკუნეში დაიწერა.
20. შემოხაზეთ რომელ წინადადებაში არ არის დაშვებული შეცდომა?
- ა) კაცს ისე ცივოდა, რომ აკანკალებდა.
 - ბ) ამ ამბავით გახარებულნი შინისკენ გავიქეციით.
 - გ) ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო.

21. რომელ სერიასა და მწკრივშია მოცემული ზმნები: *ვწერდი, ვბეჯითობდი, ვბტოდი.*
 ა) I სერია, აწმყო ბ) II სერია, წყვეტილი გ) I სერია, უწყვეტელი
22. შემოხაზეთ რომელია მართებული ფორმა?
 ა) დაუბამს ბ) დაუბია გ) დაუბავს
23. რომელია გარდამავალი ზმნა:
 ა) აფენია ბ) კერავდა გ) ზის
24. რამდენი მძიმეა გამოტოვებული მოცემულ ტექსტში?
ადამიანი რომელიც ხანგრძლივი დროის მანძილზე შრომობს რუდუნებს არ წუწუნებს და იმედიანად ელის უკეთეს ცხოვრებას ბოლოს მაინც დაუფასდება მოთმინება.
 ა) სამი ბ) ოთხი გ) ორი
25. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით შესაფერისი სიტყვები?
„ლუარსაბ თათქარიძე ამბობდა: „რაც ეს ეშმაკური შემოიღეს, ქართველი კაცის ხეირი მაშინ წავიდა. აღარ შერჩათ ჩვენს შვილებს და ხორცი! ჭამით ისინი ვეღარ ჭამენ, სმით ისინი ვეღარ სმენ, რა არიან?!“
 ა) სკოლები, ფერი, კაცები ბ) გასართობები, სახე, ადამიანები გ) თამაშები, გონი, ადამიანები
26. ჩამოთვლილთაგან რომელია მართებული?
 ა) მე– VII ბ) XI გ) XV–ე
27. ჩამოთვლილთაგან რომელია მცდარი ფორმა?
 ა) 1–ლი ბ) 21–ე გ) ათასსამასი
28. რომელია ფუძესთან შეზრდილი თანდებული?
 ა) თანავე ბ) გარდა გ) მიერ
29. რომელია შუალობითი კონტაქტის ფორმა?
 ა) დაამჩნია ბ) ატკინა გ) ააკლებინა
30. რომელ წინადადებაში არ არის დაშვებული მორფოლოგიური შეცდომა?
 ა) ერისთავთ ერისთავო, ჩვენი შიკრიკი დაბრუნებულა.
 ბ) დავიწვით იმ ქალის საცოდავობით.
 გ) ამ სანახავობამ ყველა მოხიბლა.

ბონუს– სავარჯიშო შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა ,ბ ან გ (15 ქულა)

1. სიტყვათა წარმოქმნასა და მათ ფორმაცვალებას შეისწავლის:
 ა) სინტაქსი ბ) მორფოლოგია გ) პუნქტუაცია
2. ფორმაცვალებადი სიტყვაა:
 ა) ოდესმე ბ) ნეტა გ) დაღონდებოდა
3. რამდენი მეტყველების ნაწილია ქართულში?
 ა) რვა ბ) ათი გ) ექვსი
4. რომელ ბრუნვაშია ხაზგასმული სიტყვა: *მთათაცკი სდიოდათ ცრემლები.*
 ა) მოთხრობითში ბ) მიცემითში გ) ნათესაობითში
5. ჩამოთვლილთაგან მრავლობითის ფორმა აქვს:
 ა) აბსტრაქტულ სახელებს ბ) კრებით სახელებს გ) ადამიანის საკუთარ სახელებს